დამტკიცებულია
დამდუმნებლის/დამფუძნებელთა საერთო კრების
2024 წლის 11 ნოემბრის
№1 გადაწყვეტილებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მიხეილ ახალაძის ფონდი „მამაშვილობა“
წესდება
(კონსოლიდირებული 11.11.2024.წ.)
მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. მიხეილ ახალაძის ფონდი „მამაშვილობა“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, კერძოდ, 2015 წლის 20 ნოემბრიდან. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15209147, 20/11/2015.

1.3. საზოგადოების (ფონდის) სახელწოდება: მიხეილ ახალაძის ფონდი „მამაშვილობა“.

1.4. სამართლებრივი ფორმა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.5. იურიდიული მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 034, ნაკვეთი 056, (ს/კ: 72.06.03.034.056).

1.6. საზოგადოების ელექტრონული მისამართი: mamashviloba1986@gmail.com

1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.8. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

ა) საზოგადოების სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
ბ) ახალგაზრდობისათვის, მათი ჰარმონიული განვითარებისათვის საიმედო დასაყრდენის, სანდო სულიერი და ზნეობრივი ორიენტირების შექმნა/განვითარება;
გ) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
დ) განათლების ხელშეწყობა, ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციებისა და მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევათა ოპტიმალური შერწყმა/განხორციელება საქართველოს სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში;
ე) საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მისი აქტიური წევრობა;
1.9. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანიბა, რაც კანონით არ არის აკრძალული და ემსახურება მიზნების მიღწევას.

1.10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას, ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებელი

2.1. საზოგადოების დამფუძნებელია:

ა) ვახტანგ ახალაძე, პირადი ნომერი: 01005005068, დაბადების თარიღი: 01.03.1962. მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 034, ნაკვეთი 056.

მუხლი 3

საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება;
3.2. საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრების შემადგენლობაში შედიან საზოგადოების დამფუძნებლები (წინამდებარე წესდების მე-2 მუხლში მითითებული პირი/პირები);
3.3. დამფუძნებელთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება დამფუძნებელთა უმრავლესობა;
3.4. დამფუძნებელთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომის თავმჯდომარის ხმა;
3.5. დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს ერთერთი დამფუძნებელი, რომელიც აირჩევა ყოველ სხდომაზე დამსწრე დამფუძნებლების მიერ;
3.6. დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომა მოიწვევა ერთერთი დამფუძნებლის ან დირექტორის მიერ საჭიროებისამებრ;
3.7. დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომის მოწვევის შესახებ დამფუძნებლებს შეტყობინება ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით სხდომის მოწვევამდე 5 დღით ადრე.
3.8. დამფუძნებელთა საერთო კრების კომპეტენციაა:
ა) საზოგადოების წესდების მიღება და მასში ცვილებების შეტანა;
ბ) საზოგადოების დირექტორის დანიშნვა და განთავისუფლება;
გ) საზოგადოების დირექტორისათვის თანხმობის მიცემა შემდეგ საკითხებზე:
გ.ა) ფილიალების შექმნა და გაუქმება;
გ.ბ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;
გ.გ) თავდებობისა და პასუხისმგებლობის აღება;
დ) დამფუძნებელთა საერთო კრება უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების დირექტორისგან საქმეების მიმდინარეობის შესახებ.
ე) ამტკიცებს საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ბიუჯეტს.
ვ) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას.

4.2. საზოგადოების დირექტორის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
4.2.1. საზოგადოების სტრატეგიის დაგეგმვის ორგანიზება;
4.2.2. საზოგადოების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
4.2.3. საზოგადოების ფინანსების განკარგვა;
4.2.4. დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;
4.2.5. საზოგადოების ბრძანებების გამოცემა/დამტკიცება;
4.2.6. საზოგადოების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები;
4.3. დამფუძნებელთა საერთო კრება დირექტორს ირჩევს დამფუძნებელთა შემადგენლობიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

მუხლი 5

დამფუძნებელთა უფლებები და მოვალეობები

5.1. დამფუძნებელს უფლება აქვს:
5.1.1. მონაწილეობდეს საზოგადოების საერთო კრების მუშაობაში;
5.1.2. მონაწილეობდეს საზოგადოების პროგრამულ საქმიანობაში;
5.1.3. მონაწილეობდეს საზოგადოების ფინანსურ საქმიანობაში;
5.1.4. საზოგადოების მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მეტერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
5.1.5. მოიწვიოს დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომა.
5.2. საზოგადოების დამფუძნებელი მოვალეა:
5.2.1. დაიცვას საზოგადოების წესდება და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
5.2.2. გაუფრთხილდეს საზოგადოების ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
5.2.3. შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში.

მუხლი 6
სამეთვალყურეო საბჭო

6.1. დამფუძნებლის გადაწყვეტილებით საზოგადოებაში იქმნება სამეთვალყურეო საბჭო;
6.2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არაუმეტეს 5 წევრისაგან;
6.3. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია:
ა) საზოგადოების განვითარების მიზნით წინადადებებისა და ახალი ინიციატივების წარმოდგენა საერთო კრებისათვის;
ბ) საზოგადოებისათვის მხარდაჭერა, რათა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან გრანტები, შემოწირულობები.
გ) საერთო კრების მიერ საზოგადოების ქონების გასხვისების საკითხის განხილვისას აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა გასხვისებაზე.

მუხლი 7.
საზოგადოების დაფინანსების წყაროები

7.1. საზოგადოების დაფინანსების წყაროებია:
ა) ადგილობრივი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ გამოყოფილი გრანტები და შემოწირულობები;
ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები;

გ) სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
დ) სხვა შემოსავლები, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.
7.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები მთლიანად მოხმარდება საზოგადოების მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 8

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

8.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელთა საერთო კრება.

8.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დასრულდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება დაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

8.4. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

8.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები.

8.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონების ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

8.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

8.8. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონებაზე მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობენ, ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციის გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან ექვსი(6) თვის შემდეგ.

8.9. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 9

დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

9.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულების ნამდვილობაზე.

9.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ვახტანგ ახალაძე ----------

(დამფუძნებლის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)